

მორის რონდე-სენი

ევროპისა და აზიის გზაგასაყარზე

მორის რონდე-სენი (1863-1937), ფრანგი მოგზაური, იახტსმენი და მწერალი თავის მეუღლესთან ერთად საქართველოს 1913 წლის ზაფხულში, პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე ერთი წლით ადრე ესტუმრა. მისი მოგზაურობის მიზანი, ახალი ქვეყნების გაცნობის გარდა, საზღვარგარეთ არსებული ფრანგული თემების შემოწმება იყო, რაც მას, როგორც მრჩეველს საგარეო ვაჭრობის საკითხებში, საფრანგეთის ვაჭრობის სამინისტროსგან ჰქონდა დავალებული. მის თხზულებაში არის საინტერესო ცნობები თბილისის ეთნო-რელიგიური შემადგენლობის შესახებ.

### **Maurice Rondet-Saint, Aux confins de l'Europe et de l'Asie, Paris: Plon, 1913**

Fait caractéristique : à Tiflis, ce creuset où sont venus se cristalliser les éléments de (167) tant des races : Arméniens, Tartares, Persans, Juifs, Géorgiens, Mingréliens, Moscovites, Grecs, Kurdes, Turcs, Ossètes, Circassiens, Allemands descendants d'une grosse colonie importée là au commencement du XIX siècle, et bien d'autres encore, les Juifs, qui sont douze ou quinze mille, réussissent peu et restent pour la plupart, misérables. C'est qu'ils se heurtent à deux races mieux armées pour la lutte commerciale: les Arméniens et les Persans. On dit couramment ici : « Un Arménien roulerait trois Juifs ; mais un Persan, trois Arméniens ! » Cet effacement relatif de l'Israélite est un phénomène que l'on retrouve, atténué pour d'autres raisons, parmi lesquelles domine la forte constitution sociale, dans les milieux anglo-saxons.

დამახასიათებელი ფაქტი: თბილისში, ამ ტიგელში<sup>1</sup>, სადაც მრავალი რასის წარმომადგენლები – სომხები, თათრები, სპარსელები, ებრაელები, ქართველები, მეგრელები, მოსკოველები, ბერძნები, ქურთები, თურქები, ოსები, ჩერქეზები, XIX საუკუნის დასაწყისში ჩამოყვანილი დიდი კოლონიის შთამომავალი გერმანელები და მრავალი სხვა ირევა, ებრაელები, რომელთა რიცხვი 12,000-15,000, ბევრს ვერაფერს აღწევენ და უმეტესწილად ღარიბებად რჩებიან. ეს იმიტომ ხდება, რომ მათ პირისპირ სავაჭრო ბრძოლისთვის უკეთ შეიარაღებული ორი რასა დგას: სომხები და სპარსელები. აქ ხშირად ამბობენ: „ერთი სომეხი სამ ებრაელს, ერთი სპარსელი კი სამ სომეხს გააცურებს“. ებრაელების ეს განადგურება არის ფენომენი, შერბილებული სხვა მიზეზების გამო, რომელთა შორის ჭარბობს ძლიერი სოციალური სტრუქტურა ანგლო-საქსონურ წრეებში.

L'intérêt de Tiflis réside précisément, pour l'observateur, dans ce contact sans mélange de tant de races, affluées, pour des causes diverses, de l'Asie vers le Nord, arrêtées par la muraille naturelle du Caucase (168), puis refoulées et fixées par l'expansion moscovite.

დამკვირვებლისთვის თბილისის მიმართ ინტერესი სწორედ ერთმანეთთან ამ უამრავი რასის შეურეველ კონტაქტში მდგომარეობს, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო აზიიდან ჩრდილოეთს მიაწყდნენ და ჯერ კავკასიის ბუნებრივმა კედელმა შეაჩერა, შემდეგ მოსკოვის ექსპანსიამ შეავიწროვა და დათრგუნა.

---

<sup>1</sup> ტიგელი – ცეცხლაგამძლე ჭურჭელი, რომელშიც ადნობენ ან ახურებენ სხვადასხვა მასალას, ნივთიერებას.

Je ne sais si, comme l'affirme dans un récent ouvrage, mon ami E. Archdeacon, devenu un apôtre de l'espéranto, après avoir été un des premiers pionniers de l'aviation, on parle soixante-dix langues différentes à Tiflis. Peut-être n'en parle-t-on que la moitié, ce qui serait déjà coquet ; les inspirations polyglottes, même celles affichées dans les wagons, sont en russe d'abord, puis en turc, en persan, en arménien, en géorgien, parfois en grec. Jamais à ces langues ne s'en ajoute une occidentale: française ou allemande, par exemple, quoique l'enseignement classique de l'une et de l'autre soit si répandu en Russie. Faut-il voir dans cette proscription ici, comme cela me fut affirmé, le désir, de la part des dirigeants russes, de consigner le plus possible les idées de l'Occident, donc ses langues, à la porte de l'Empire ? Ainsi, – et je tiens le fait pour exact, – la propagande en faveur de la langue (169) universelle dont l'adoption serait un véritable bienfait en ces milieux composés d'éléments ethnographiques si divers, est moins qu'encouragée par l'autorités. Prenez-en votre parti, apôtres de la langue universelle, et dites-vous que votre propagande échouera en Russie, par le seul fait que l'introduction des idées étrangers, eux-mêmes, y est manifestement peu souhaitée en haut lieu (170).

არ ვიცი, ლაპარაკობენ თუ არა თბილისში სამოცდაათ სხვადასხვა ენაზე, როგორც ამას ბოლო ნაშრომში ამტკიცებს ჩემი მეგობარი ე. არქიდაკონი<sup>2</sup>, რომელიც მას შემდეგ იქცა ესპერანტოს მოციქულად, რაც ავიაციის პირველი პიონერი გახდა. შეიძლება იქ მხოლოდ ნახევარზე ლაპარაკობენ, რაც უკვე საკმაოდ ბევრია; მრავალენოვანი წარწერები, ისიც კი, რომელიც ვაგონებშია განთავსებული, ჯერ რუსულადაა, შემდეგ თურქულად, სპარსულად, სომხურად, ქართულად და ზოგჯერ ბერძნულადაც. მათ არასოდეს ემატება დასავლური ენა, მაგალითად, ფრანგული ან გერმანული, თუმცა ორივეს კლასიკური სწავლება რუსეთში ძალიან გავრცელებულია. ამ აკრძალვაში, როგორც მითხრეს, რუსეთის ხელმძღვანელობის სურვილი ხომ არ ჩანს, რომ დასავლური იდეები და შესაბამისად, მისი ენები, მაქსიმალურად იმპერიის კარიბჭის მიღმა დარჩეს? ამგვარად – და მე ეს ფაქტი ზუსტი მგონია – უნივერსალური ენის სასარგებლო პროპაგანდას, რომლის მიღება ნამდვილი სიკეთე იქნებოდა ასე მრავალენოვანი ეთნოგრაფიული ერთეულებისგან შემდგარ გარემოში, ხელისუფლება არ ახალისებს. უნივერსალური ენის მოციქულნი, მიიღეთ გადაწყვეტილება და გამოუტყდით საკუთარ თავს, რომ თქვენი პროპაგანდა რუსეთში მხოლოდ იმის გამო ჩავარდება, რომ მაღალ ინსტანციებში აშკარად არასასურველია უცხო იდეების დანერგვა.

Nous allons faire des achats un bazar persan. Quelques curiosités, des étoffes, des fourrures. On trouve tout cela à Paris, et moins cher, en dépit du sourire incrédule du marchand lorsque je le lui dis, tandis que, d'un doigt preste, il calcule mon dû sur sa petite boîte à boules. Dans un coin de la boutique sombre, un peu sordide et très pittoresque, j'avise un objet qui brille, plaqué au mur: C'est le téléphone! Ce (173) marchand, tel qu'en connut Shéhérazade, a le téléphone, demeuré chez nous un objet de luxe réservé aux grosses firmes ou aux gens riches. Le progrès matériel chemine plus vite au loin, je l'ai souvent constaté, que dans les pays même où il a pris naissance.

სპარსულ ბაზარში საყიდლებზე მივედი. ზოგიერთი იშვიათობა, ქსოვილები, ბეწვი. ყოველივე ამის ნახვა პარიზშიც შეიძლება და უფრო იაფადაც, ვეუბნები ვაჭარს მისი

---

<sup>2</sup> ერნესტ არქიდაკონი (1863-1950) – ფრანგი იურისტი და ავიაციის პიონერი პირველ მსოფლიო ომამდე. მისი ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი ავიაციაში არის 1898 წელს მსოფლიოში უძველესი აეროკლუბის – Aeroclub de France-ის დაარსება. 1908 წელს მან შეისწავლა ესპერანტო და 1910 წელს პარიზში გამოსცა წიგნი „რატომ გავხდი ესპერანტოზე მოლაპარაკე“ (*Pourquoi je suis devenu espérantiste*, Paris: Fayard, 1910), 1925 წელს კი ის Société Française pour la Propagation de l'Espéranto-ს პრეზიდენტად აირჩიეს და ამ საერთაშორისო ენას სიცოცხლის ბოლომდე იცავდა.

უნდობელი ღიმილის მიუხედავად, ის კი თითოთ მარდად ითვლის ჩემს გადასახადს თავის პატარა საანგარიშოზე. ბნელი მაღაზიის ოდნავ ჭუჭყიან და ძალიან თვალწარმტაც კუთხეში, კედელზე მიკრულ მზინავ საგანს ვამჩნევ: ეს ტელეფონია! ამ ვაჭარს, როგორსაც მას შეჰერაზადა (Shéhérazade)<sup>3</sup> იცნობდა, აქვს ტელეფონი, რომელიც ჩვენთან ფუფუნების საგანია და მხოლოდ მსხვილი ფირმების ან მდიდარი ადამიანებისთვისაა განკუთვნილი. ხშირად შემინიშნავს, რომ მატერიალური პროგრესი შორს უფრო სწრაფად მიდის, ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც ის შეიქმნა.

თარგმნა ირინე ნაჭყებია

---

<sup>3</sup> შეჰერაზადა – შუა საუკუნეების არაბული ზღაპრული მოთხრობების „ათას ერთი ღამის“ მთავარი გმირი.